


კაპიტალიზაცია


ორგანიზაციის საქმიანობაში ხშირად საჭირო ხდება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ოპერაციის ჩატარება, როგორცაა შეკეთება, კაპიტალური რემონტი, მისი ფუნქციონალური შესაძლებლობების გაზრდა ა.შ. ყველა ასეთი ოპერაცია იწვევს ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდას. ასეთი შემთხვევებისთვის სისტემაში არსებობს ოპერაცია - „კაპიტალიზაცია“. მაგალითისთვის შევაკეთოთ კომპიუტერი. გამოიძახეთ ძირითადი საშუალებების სია - „ამოცანები/ ძირითადი საშუალებები/ძირითადი საშუალებები სია“ და მონიშნეთ ის ძირითადი საშუალება, რომლის ღირებულების გაზრდაც გსურთ. ჩვენს შემთხვევაში - კომპიუტერი და ღილაკების სისტემიდან გამოიძახეთ - კაპიტალიზაცია




იხილავთ ეკრანს

ოპერაციის თარიღი	10.01.2021
დოკუმენტის ნომერი	
ჩამოტვირთოთ დღგ-ს ა/ფ	
დღგ-ს ა/ფ-ის ნომერი	
ხარჯის თანხა დღგ-ს ჩათვლით	0
დღგ	0
ვალუტა	GEL ქართული ლარი
ვალუტის კურსი	1
ღირებულების ცენტრი	საერთო ღირებულების ცენტრი
კომენტარი	
ხარჯის (მომწოდებლის) ანგარიში	
დღგ-ს ანგარიში	3340 გადახდილი დღგ

მიუთითეთ ოპერაციის თარიღი და დოკუმენტის ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე არსებობს კაპიტალიზაციის შესაბამისი ა/ფ დააჭირეთ ღილაკს „ჩამოტვირთოთ დღგ-ს ა/ფ“. იხ. დოკუმენტაცია „მიღებული ანგარიშ-ფაქტურის ჩამოტვირთვა“. ფაქტურის ჩამოტვირთვის შემთხვევაში მოცემულ ეკრანზე ავტომატურად შეივსება ველები „დღგ-ს ა/ფ-ის ნომერი“, „ხარჯის თანხა დღგ-ს ჩათვლით“ და „დღგ“ თქვენს მიერ ჩამოტვირთული ა/ფ-ს მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში ხელით შევავსოთ ხარჯის თანხა-200. სისტემა დღგ-ს ავტომატურად დაითვლის. იმ შემთხვევაში თუ კაპიტალიზაციის ოპერაციაში არ გსურთ დღგ-ს გატარება წაშალეთ დღგ-ს თანხა. მიუთითეთ სასურველი ვალუტა და ის

ღირებულების ცენტრი, რომელშიც უნდა შესრულდეს ოპერაცია. ველში „კომენტარი“ შეგიძლიათ შეიტანოთ ოპერაციასთან დაკავშირებული თქვენთვის სასურველი ინფორმაცია. ველში „ხარჯი (მომწოდებლის) ანგარიში“ მიუთითეთ ანგარიშის ნომერი. ანგარიშის ნომრის შეტანის დროს იხილავთ ყველა იმ ანგარიშის ჩამონათვალს, რომელთა ნომრებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი ციფრებით. ან აღნიშნული ველის გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს . იხილავთ ანგარიშთა გეგმას, საიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი ანგარიში. ჩვენს შემთხვევაში ავირჩიოთ 7445(კომპიუტერის ხარჯები). დღგ-ს ანგარიშს სისტემა ავტომატურად ავსებს, თუმცა შეგიძლიათ შეცვლა. საბოლოოდ ჩვენს მიერ შევსებულ ეკრანს ექნება შემდეგი სახე.



შავროსი (ვაპიტალიზაცია)

ოპერაციის თარიღი
20.01.2021

დოკუმენტის ნომერი
1

ჩამოვტვირთეთ დღგ-ს ა/ფ
დღგ-ს ა/ფ-ის ნომერი

ხარჯის თანხა დღგ-ს ჩათვლით
200

დღგ
30.51

ვალუტა
GEL ქართული ლარი

ვალუტის კურსი
1

ღირებულების ცენტრი
საერთო ღირებულების ცენტრი


კომენტარი

ხარჯის (მომწოდებლის) ანგარიში
7445 კომპიუტერის ხარჯები

დღგ-ს ანგარიში
3340 გადახდილი დღგ

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ

ოპერაციის გასაგრძელებლად დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“



შავროსი (ვაპიტალიზაცია)

გნახოთ საბუღალტრო ოპერაცია

გადასანაწილებელი ხარჯის თანხა დღგ-ს გარეშე - 169.49 GEL


მონიშნული ძირითადი საშუალებების სია

კოდი	დასახელება	ხარჯი	საინვენტარიზაციო ნომერი	საბალანსო ღირებულება	რაოდენობა	წარჩენი ღირებულება	ჯამური ცვეთა	საბალანსო ღირებულების მშობელი ანგარიში	ღირებულების ცენტრი
1	კომპიუტერი	169.49	0001	10000.00000000	5.00000000	10000.00000000	0.00000000	2160	საერთო ღირებულების ცენტრი

1 169.49 10000

<< წინ შემდეგ >> დასასრული შევწყვიტოთ

ეკრანის ზედა ნაწილში ლურჯად ნაჩვენებია გადასანაწილებელი ხარჯის თანხა დღგ-ს გარეშე. ეკრანის ქვედა ნაწილში მოცემულია იმ ძირითადი საშუალებების სია, რომლებზეც უნდა შესრულდეს კაპიტალიზაციის ოპერაცია. ჩვენს შემთხვევაში არის მხოლოდ ერთი ძირითადი საშუალება. ამავე სიაში ნაჩვენებია ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება-1000, ნარჩენი ღირებულება-1000 და ჯამური ცვეთის თანხა-0. აქვეა მოცემული საბალანსო ღირებულების ანგარიში-2160, რომელიც ძირითად საშუალებას ბარათში აქვს მითითებული. სწორედ ეს ანგარიში იღებს მონაწილეობას კაპიტალიზაციის ოპერაციაში. თითოეული ძირითადი საშუალების გასწვრივ ველში „ხარჯი“ მითითებულია ის თანხა, რომლითაც გაიზრდება ძირითადი საშუალების ღირებულება, ანუ რა თანხითაც შესრულდება კაპიტალიზაციის გატარება. კაპიტალიზაციის ოპერაციაში მონაწილეობას რომ იღებდეს რამდენიმე ძირითადი საშუალება, ხარჯის თანხა გადანაწილდებოდა საბალანსო ღირებულების პროპორციულად. (კოეფიციენტი = ხარჯის თანხა / სიაში არსებული ძირითადი საშუალებების ჯამური საბალანსო ღირებულება. კოეფიციენტი*თითოეულ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება) თითოეული ძირითადი საშუალების გასწვრივ მითითებული ხარჯის თანხა შეგიძლიათ შეცვალოთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ჯამური თანხა (სიაში არსებული ძირითადი საშუალებების ხარჯის ჯამური თანხა) არ უნდა განსხვავდებოდეს გადასანაწილებელ ხარჯის თანხისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იხილავთ შესაბამის შეტყობინებას. მაგალითად ხარჯის თანხაში თუ ჩავწერ 169,5 ეკრანზე გამოვა შეტყობინება



ეკრანის ზედა მარცხენა კუთხეში არის მოსანიშნი - ვნახოთ საბუღალტრო ოპერაცია . ამ ველის მონიშვნის შემთხვევაში ოპერაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ კაპიტალიზაციის ოპერაციას. მონიშნეთ მოსანიშნი და დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“.

ოპერაციის კორექტირება

ოპერაციის 20.01.2021 20:35:38

დოკუმენტის 1 ოპერაციის კაპიტალიზაცია

კომენტარი

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებიტი რაოდენობა	კრედიტი რაოდენობა	ერთეუ
▶ 1	2160 3	1 კომპიუტერი	169.49		GEL	საერთო ღი...			ცალი
2	7445	კომპიუტერის ხარჯები		169.49	GEL	საერთო ღი...			
3	3340	გადახდილი დღგ	30.51		GEL	საერთო ღი...			
4	7445	კომპიუტერის ხარჯები		30.51	GEL	საერთო ღი...			
4			200.00	200.00					

შეინახოთ უარი

როგორც ხედავთ პირველ გატარებაში ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიშის გასწვრივ სადებეტო თანხაში მითითებულია თანხა დღგ-ს გარეშე(169,49), ანუ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება გაიზრდება ამ თანხით, ხოლო ხარჯებში 7445 ანგარიშზე აისახება სრული ხარჯის თანხა $169.49+30.51=200$.

შეინახეთ ოპერაცია და ვნახოთ როგორ შეიცვალა ძირითადი საშუალების ბარათი. გააკორექტირეთ ძირითადი საშუალება.

ძირითადი საშუალებების კორექტირება

შტრის კოდი: 1

დასახელება: კომპიუტერი

მთავარი | თარიღები | ცვეთა | სხვადასხვა

ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი

საბალანსო ღირებულება: 10169.49 (A)

ცვეთა შეძენის დოკუმენტით: 0

სალიკვიდაციო ღირებულება: 0 (R)

მომსახურების ვადა: 10 (J)

პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში: 0 (K)

პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში: 0 (L)

მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა: 0 (M)

ცვეთის წლიური კოეფიციენტი: 0 (B)

დარიცხვის თვეების რაოდენობა: 12 (C)

ნარჩენი ღირებულება: 10169.49 (D)

ცვეთის დასარიცხი თანხა: 1016.95 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(J*12))^*C$


ჯამური ცვეთა: 0 (G) A-D


საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა: 0 (F)

ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა: 0 (S) $G*(F*100/A)/100$

შეინახოთ უარი

როგორც ხედავთ კაპიტალიზაციის ოპერაციის შესაბამისი ცვლილებები აისახა ძირითადი საშუალების ბარათშიც. გაიზარდა საბალანსო და ნარჩენი ღირებულება და შეიცვალა ცვეთის დასარიცხი თანხა. დახურეთ ეკრანი.

კაპიტალიზაციის ოპერაცია შეგიძლიათ ნახოთ ძირითადი საშუალებების სიიდან. ამისათვის დადექით ძირითად საშუალებაზე და დააჭირეთ ღილაკის  გვერდით არსებულ შავ ისარს.



ჩამოშლადი მენიუდან აირჩიეთ გატარებები. იხილავთ ეკრანს:

გა	ლა	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებიტის რაოდენობა
1		კაპიტალიზაცია	1	20.01.2021 20...	2160 3	1 კომპიუტერი	169.49		GEL	საერთო ღირ...	
1							169.49				

გაითვალისწინეთ, რომ კაპიტალიზაციის ოპერაციის ნაშლის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებები ავტომატურად არ აისახება ძირითადი საშუალების ბარათში. ასეთ შემთხვევაში უნდა გააკორექტიროთ ძირითადი საშუალებების ბარათი და შეცვალოთ საბალანსო ღირებულება, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის დასარიცხი თანხა. ანუ დააბრუნოთ კაპიტალიზაციის ოპერაციამდე არსებული მდგომარეობა.